დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2019 წლის 29 აგვისტოს N270 ბრძანებით
ცვლილება: N01-4/291 (29/12/2023)

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დოკუმენტია, რომლის საშუალებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესი მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულის/მოდულების ფარგლებში. მასში განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები.

1. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი** განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების შემთხვევაში.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც სსსმ პროფესიული სტუდენტის სწავლებისას გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულე და გეგმა შედგება კონკრეტული მოდულის საფუძველზე.
3. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულე.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა თავსებადი სწავლის შედეგების აღიარების და მიღწევის შესაძლებლობას მობილობის წესით ჩარიცხული ან სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:
   5. 1. სსსმ პროფესიული სტუდენტი სწავლის პროცესში ვერ ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;
   5.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
   5.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.
   5.4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
   5.5. განხორციელდა პროგრამის შეცვლა/გაუქმება და საჭიროა პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე;
6. მე-5 პუნქტის 5.1. ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კონკრეტულ მოდულში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება ინკლურიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ თანხმდება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან.
7. მე-5 პუნქტის 5.2. ქვეპუნქტის შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და სასწავლო

პრაქტიკის მენეჯერი განიხილავს მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების იგივე/მონმათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხს და ამზადებს შესაბამის სამსახურებრივ ბარათს. სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ი.ს.გ-ს შემუშავებას;

8. მე-5 პუნქტის 5.3. ქვეპუნქტის შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობით).

9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს. შესაბამისად, კოლეჯი უფლებამოსილია ავტომატურად ჩაუთვალოს მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.

10. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით, ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას განახლებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შესაძლებლობის შემთხვევაში) ან უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში დასრულებას.

12. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადებს.